




ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრება მასწავლებელთა ტრენინგის პაკეტი

მოდული 1. ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლები სწავლებისათვის

მეცნიერება
ინტელექტუალური საკუთრება
სკოლაში

ტრენინგის კონსპექტი



მიზნები	- ინტელექტუალური საკუთრების (IP) ძირითადი ცნებებისა და დაცვის ინსტრუმენტების წარდგენა - საავტორო უფლებებისადმი მასწავლებელთა დამოკიდებულებისა და შესაფერისი ქცევის გადახედვა												
მასალები	- სასწავლო სცენარების სამუშაო ფურცლები (წინასწარ ამოჭრილი თითო ფურცელი თითო წყვილისთვის) - საავტორო უფლებების შესახებ კითხვების ბარათები (1 შეკვრა თითო ჯგუფისთვის)												
ვორქშოფის მონახაზი	<table><tr><th>საფეხური</th><th>აქტივობა</th><th>მასალა</th></tr><tr><td>1. ყინულის გაღობა</td><td>წყვილებში მუშაობა</td><td>სასწავლო სცენარები: A და B</td></tr><tr><td>2. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ</td><td>ჯგუფებში მუშაობა</td><td>საავტორო უფლებების შესახებ კითხვების ბარათები; ლეპტოპები (სურვილისამებრ)</td></tr><tr><td>3. გავაცნობიეროთ საავტორო უფლებები!</td><td>ჯგუფებში მუშაობა: პოსტერის დამზადება</td><td>ფლიპჩარტები და ფლომასტერები</td></tr></table>	საფეხური	აქტივობა	მასალა	1. ყინულის გაღობა	წყვილებში მუშაობა	სასწავლო სცენარები: A და B	2. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ	ჯგუფებში მუშაობა	საავტორო უფლებების შესახებ კითხვების ბარათები; ლეპტოპები (სურვილისამებრ)	3. გავაცნობიეროთ საავტორო უფლებები!	ჯგუფებში მუშაობა: პოსტერის დამზადება	ფლიპჩარტები და ფლომასტერები
საფეხური	აქტივობა	მასალა											
1. ყინულის გაღობა	წყვილებში მუშაობა	სასწავლო სცენარები: A და B											
2. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ	ჯგუფებში მუშაობა	საავტორო უფლებების შესახებ კითხვების ბარათები; ლეპტოპები (სურვილისამებრ)											
3. გავაცნობიეროთ საავტორო უფლებები!	ჯგუფებში მუშაობა: პოსტერის დამზადება	ფლიპჩარტები და ფლომასტერები											
ჩანიშვნები აქტივობების ჩასატარებლად	1. ყინულის გაღობა - სასწავლო სცენარები - დაარიგეთ სასწავლო სცენარები, შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს იმუშაონ წყვილებში და თავიანთ მეწყვილეს რჩევა ჰკითხოთ. - შემდეგ მასწავლებლები წყვილებში მსჯელობენ ასეთ შეკითხვაზე: რა მითითებებს აძლევთ თქვენს მოსწავლეებს სასკოლო დავალებისთვის ინტერნეტიდან აღებული მასალის გამოყენების თაობაზე? - ჰკითხეთ მასწავლებლებს, ხომ არ წაწყდომიან საკუთარ სასკოლო პრაქტიკაში საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ რაიმე სახის პრობლემას. - მონაწილეები წყვილებში მსჯელობენ და მეწყვილეს პრობლემის გადასაჭრელად რჩევას ეკითხებიან. - ტრენერები დადიან მონაწილეთა შორის, აკვირდებიან წყვილებში მსჯელობის პროცესს და, საჭიროებისამებრ, ერთვებიან საუბარში. 2. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ - მასწავლებლები მსჯელობენ შეკითხვებზე მცირე ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს მიეცით კითხვების ნაკრები. - მონაწილეები მსჯელობენ და თითოეულ კითხვას პასუხს შეურჩევენ. დასაშვებია, რომ გუნდმა გამოიყენოს ლეპტოპი და მოიძიოს ინფორმაცია პასუხის შესაძლო ვარიანტებზე. შესაძლო პასუხებია: A. დიახ, უსასყიდლოდ; B. დიახ, თუ საფასურს გადაიხდით; C. არა; D. გააჩნია ვითარებას. - ჯგუფში ერთი წევრი ჩანაწერებს აკეთებს შესაძლო პასუხების გარშემო. - როცა ერთ-ერთი ჯგუფი მუშაობას დაასრულებს, გაუზიარეთ აუდიტორიას სწორი პასუხები. ამის შემდეგ მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ დასკვნებს, მსჯელობენ და პასუხობენ კითხვებს. 3. გავაცნობიეროთ საავტორო უფლებები! - მასწავლებლები ჯგუფებში მუშაობენ და ქმნიან პოსტერებს, რომლებზეც მოცემულია რჩევები კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის. - ჯგუფები პოსტერებს გამოაკრავენ, რასაც მოსდევს გასეირნება გალერეაში.												

მოდული 1. სასწავლო სცენარები



A

თქვენ ამზადებთ გაკვეთილის გეგმას და გინდათ, ახალი თემის შემოტანისას შესავლად გამოიყენოთ ამჟამად პოპულარული სიმღერა. გაქვთ ონლაინ მუსიკალური არხის (სტრიმინგის) ანგარიში და ამ სერვისში ყოველთვიურ გადასახადს იხდით. ახლა გსურთ, ანგარიშიდან სიმღერა ჩამოტვირთოთ და ის კლასში დაუკრათ.

სთხოვეთ კოლეგებს რჩევა: შეგიძლიათ თუ არა ამის გაკეთება?

B

თქვენმა ერთ-ერთმა მოსწავლემ საკლასო პროექტის ფარგლებში საინტერესო პრეზენტაცია მოამზადა. პრეზენტაციაში ჩართულია რამდენიმე ფოტო, რომლებიც მოსწავლემ ინტერნეტიდან ჩამოტვირთა და წყაროც მიუთითა. თქვენ გინდათ, ეს პრეზენტაცია, როგორც კარგი ნამუშევრის ნიმუში, სკოლის ვებგვერდზე განათავსოთ.

სთხოვეთ კოლეგებს რჩევა: შეგიძლიათ თუ არა პრეზენტაციის განთავსება სკოლის ვებგვერდზე?

მოდული 1. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ



1

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ინტერნეტიდან ჩამოტვირთული ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოები გამოიყენონ კლასში წარსადგენი პოსტერის ან ციფრული პრეზენტაციის დასამზადებლად?

2

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, კლასში მოსწავლეებთან გამოსაყენებლად დაამზადონ სახელმძღვანელოების ფოტოასლები ან დაასკანერონ საჭირო გვერდები?

3

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, შეასრულონ პოპულარული სიმღერები კლასში ან მასწავლებლებისა და მშობლებისთვის გამართულ უფასო კონცერტზე?

4

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, სკოლაში მშობლებისთვის სპექტაკლი დადგან, თუ წარმოდგენაზე დასწრება უფასოა?

5

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, კლასში აჩვენონ DVD და შემდგომ ის მოსწავლეებთან ერთად განიხილონ?

მოდული 1. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ



6

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს კლასში ონლაინ ვიდეოკლიპის ჩვენება?

7

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, მოსწავლეებს ელექტრონული ფოსტით გაუგზავნონ სტატიები ან ამონარიდები სპეციალური ლიტერატურიდან და ამ სახით გააცნონ მათ მასალა, რომელიც საშინაო დავალების შესასრულებლად დასჭირდებათ?

8

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, დახურულ სასკოლო ვებგვერდზე განათავსონ მოსწავლეების წასაკითხად განკუთვნილი საგაზეთო სტატია, ტექსტის ნაწყვეტი ან წიგნი?

9

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, გამოიყენონ მთლიანი ლექსი, სიმღერა ან წიგნის მთელი თავი, როდესაც თავიანთი მოსწავლეებისთვის საკუთარ სასწავლო მასალას ქმნიან?

10

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, მოსწავლეებთან სამუშაოდ უცხო ენაზე დაწერილი წიგნის ნაწილები მათ მშობლიურ ენაზე თარგმნონ?